ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 24

ქ. თბილისი, 24 დეკემბერი, 2024 წელი

სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ,

დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი

სხდომას ესწრებოდა 22 ხმის უფლების მქონე წევრი

დღის წესრიგი:

1. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

2. საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი

3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშის შესახებ

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

/ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მ. ლობჟანიძე/

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ

/ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მ. ლობჟანიძე/

6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2014 წლის 19 დეკემბრის სხდომის ოქმი №15 დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის საუნივერსიტეტო დაფინანსების გაცემის წესში“ ცვლილებების შეტანის შესახებ

/მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში აკაკი მიქაბერიძე/

7. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის განხილვა-დამტკიცება.

/მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში აკაკი მიქაბერიძე/

8.მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, **პროფესორ გიორგი ღაღანიძის** ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

I. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№33316/10, 11.12.2024) თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულ **თორნიკე გრძელიძის** დიპლომის დანართი, რომლის მომზადების დროს საჭირო გახდა კურსდამთავრებულისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ თორნიკე ამირანის ძე გრძელიძე 2000 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობაზე (ბრძანება №4/752, 26.08.2000).

ეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების კურსდამთავრებულ თორნიკე გრძელიძეს ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 8 ივნისის საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი (ოქმი №5) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებით მიენიჭა <u>ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით</u> და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა მოიძია 2005 წელს თსუ-ს მიერ გამოცემული საცნობარო ხასიათის გზამკვლევი, რომელიც მოიცავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას ინსტიტუციური აკრედიტაციის მიჯნაზე - 2004 წლის ბოლოსთვის. ცნობარიდან ჩანს, რომ ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატში „აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის“ სპეციალობის კურსდამთავრებულებს ენიჭებოდათ **ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის „აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის“ სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №5, 8.06.2005) გადაწყვეტილება და დასწრებული სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების კურსდამთავრებულებს ნაცვლად **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაცია“** მიენიჭოთ **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაცია“.**

ფაკულტეტის საბჭოს ეთხოვა განეხილა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულ თორნიკე გრძელიძისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის/ხარისხის დაზუსტების (კორექტირების) საკითხი და განხორციელებული ცვლილება გავრცელდეს ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 8 ივნისის საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ ოქმში (№5) დაფიქსირებულ არასაბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების ყველა კურსდამთავრებულზე,

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22

წინააღმდეგი -0

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლო, აუდიტის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 8 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №5) გადაწყვეტილებით დღის (არასაბიუჯეტო) განყოფილების აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის კურსდამთავრებულ თორნიკე გრძელიძეს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“** მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“.**

2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ ოქმში (№5, 8.06.2005) მითითებულ დასწრებული სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმი №5, 8.06.2005)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

II. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№30841/10, 14.11.2024) სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2002 წლის კურსდამთავრებულ **ზაზა ახალაიასთვის** მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება, რომლის მომზადების დროს საჭირო გახდა კურსდამთავრებულისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ არქივიდან წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ზაზა ზურაბის ძე ახალაია 1998 წლის მისაღები გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხა მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/570, 5.08.1998).

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობის სპეციალობის კურსდამთავრებულ ზაზა ახალაიას მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 19 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №3) გადაწყვეტილებით მიენიჭა <u>ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიზნეს ადმინისტრატორის კვალიფიკაციით,</u> ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2002 წლის 10 ივლისის №4/820 ბრძანებით <u>ბიზნეს ადმინისტრატორის კვალიფიკაცია და ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი</u> და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2022 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№08024 (სარეგისტრაციო №01/126) რეგისტრირებულია ზაზა ახალაიას სახელზე. წარმოდგენილ საარქივო დოკუმენტებში არის ზაზა ახალაიას სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომისა და დიპლომის დანართის ასლები. დიპლომის მონაცემებიდან ჩანს, რომ **„ზაზა ახალაია 1998 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე და 2002 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობაში. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით ზაზა ახალაიას მიენიჭა <u>ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაცია</u>“** (შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ ზაზა ახალაიას სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში შეცდომითაა მითითებული სახელმწიფო საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილების თარიღი. კერძოდ, დიპლომში მითითებულია 2002 წლის 14 ივნისი, თუმცა სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო 2002 წლის 19 ივნისს).

ზაზა ახალაიას სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმით (№3, 19.06.2002) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/820, 10.07.2002) მინიჭებულ ხარისხთან. თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა კურსდამთავრებულისათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შესწორდეს ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილება (ოქმი №3, 19.06.2002) და დღის განყოფილების კურსდამთავრებულ ზაზა ახალაიას ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“** უნდა მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“**.

ფაკულტეტის საბჭოს ეთხოვა განეხილა **ზაზა ახალაიასთვის** მინიჭებული კვალიფიკაციის/ხარისხის დაზუსტების (კორექტირების) საკითხი და

განხორციელებული ცვლილება გავრცელდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№3, 19.06.2002) დაფიქსირებულ დღის განყოფილების ყველა კურსდამთავრებულზე.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22

წინააღმდეგი -0

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობის სპეციალობის კურსდამთავრებულ ზაზა ახალაიას მინიჭებული ხარისხის **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“** ნაცვლად მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“**.
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№3, 19.06.2002) მითითებულ დღის განყოფილების ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობის სპეციალობის ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №3, 19.06.2002)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

III. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოვიდა წერილი (№32006/10, 27.11.2024), რომლითაც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის 2006 წლის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულის **თეა ლონდარიძის** დიპლომის დანართი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **თეა ლონდარიძე** 2002 წელს ჩაირიცხა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში, დაუსწრებელი ფაკულტეტის საკურორტო-სასტუმრო კომპლექსებისა და საერთაშორისო ტურიზმის კომერცია და მარკეტინგის სპეციალობით (ბრძანება №04-02/04-60. 20.07.2002).

2006 წელს აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თეუსუ-ს რექტორის ბრძანებით **თეა ლონდარიძეს** მიენიჭა ბიზნესისა და მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტ-მენეჯერის კვლიფიკაციით (ბრძ. №01-38/55, 02.10.2006 (საფუძველი: საატესტაციო-საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დასკვნითი ოქმი №13 16.09.2006).

მითითებული აკადემიური ხარისხი არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.

ფაკულტეტის საბჭოს ეთხოვა განეხილა თეუსუ-ს 2006 წლის კურსდამთავრებულ **თეა ლონდარიძისათვის** მინიჭებული ხარისხის კორექტირების საკითხი - მინიჭებული აკადემიური ხარისხი შესაბამისობაში მოყვანილ იქნეს საქართველოს განათლებისა და მენცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების სპეციალობათა ჩამონათვალთან. კერძოდ: ყოფილი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის 2006 წლის კურსდამთავრებულ **თეა ლონდარიძეს** ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბიზნესისა და მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“ უნდა მიენიჭოს „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“ და აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს თეუსუ-ს რექტორის ბრძანებაში (№01-38/55, 02.10.2006, §-1, §-2, §-3, §-5) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე *(საფუძველი: საატესტაციო-საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დასკვნითი ოქმები: ოქმი №9; ოქმი №10; ოქმი №11; ოქმი №13 16.09.2006).*

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22

წინააღმდეგი -0

დაადგინეს:

1. „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად ყოფილი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის 2006 წლის კურსდამთავრებულ **თეა ლონდარიძეს** ნაცვლად **„ბიზნესისა და მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა“** მიენიჭოს **„ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.“**
2. *ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს თეუსუ-ს რექტორის ბრძანებაში (№01-38/55, 02.10.2006, §-1, §-2, §-3, §-5) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულებზე (საფუძველი - საატესტაციო-საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დასკვნითი ოქმები: ოქმი №9; ოქმი №10; ოქმი №11; ოქმი №13, 16.09.2006)* მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ასოცირებული პროფესორის მ. ჩავლეიშვილის** ინფორმაცია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

1. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 77)

ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსებში საგამოცდო ფორმატის ცვლილების შესახებ

ცვლილების აღწერა: მაკროეკონომიკის კათედრის სასწავლო კურსებში **„მაკროეკონომიკა 1“** და **„მაკროეკონომიკა 2“** შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგამოცდო ცენტრის ნაცვლად ჩატარდება კომპიუტერულ რესურს-ცენტრში.

საფუძველი: სასწავლო კურსის სილაბუსებში საგამოცდო ფორმატის ცვლილება, დაზუსტება.

ცვლილება: სასწავლო კურსების დამატებისა და სტატუსის ცვლილების შესახებ.

- **ცვლილების აღწერა:** დამატებითი
- პროგრამა ძირითადი სპეციალობის ,,ბიზნესის ადმინისტრირებისთვის“ „მიკროეკონომიკის“ სავალდებულო კურსის ნაცვლად შემოვიდა არჩევითი სასწავლო კურსები:
  - ✓ ,,მიკროეკონომიკა 1“ (მე-3 სემესტრი);
  - ✓ ,,მიკროეკონომიკა 2“ (მე-4 სემესტრი).

ცვლილება: სასწავლო კურსების სემესტრული ცვლილების შესახებ.

- **ცვლილების აღწერა:** დამატებითი პროგრამა ძირითადი სპეციალობის ,,ბიზნესის ადმინისტრირებისთვის“ არჩევითი სასწავლო კურსს „მენეჯერული ეკონომიკა 1“ მე-4 სემესტრის ნაცვლად განესაზღვრა მე-3 სემესტრი.

საფუძველი: პროგრამის გაფართოება და სტრუქტურის სრულყოფა

ცვლილება: თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსების დამატების შესახებ

- **ცვლილების აღწერა:** პროგრამის თავისუფალ არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა სასწავლო კურსი ,,სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა“ (5 კრედიტი, შემოდგომის სემესტრი).

  საფუძველი: პროგრამის არჩევითი კურსების გაფართოება.

2. **ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული, დანართი N80)**

ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსების მოდიფიცირების შესახებ

- **ცვლილების აღწერა:** განახლდა შინაარსი და ლიტერატურა შემდეგ სასწავლო კურსის სილაბუსებში:

  კონცენტრაცია ,,ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია“;

  - ✓ რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა;

- ✓ საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა;
- ✓ ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა.

კონცენტრაციები: ,,საერთაშორისო ეკონომიკა" „ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორია", „საერთაშორისო ფინანსები":

- ✓ მსოფლიო ეკონომიკა;
- ✓ საერთაშორისო შრომითი მიგრაცია;
- ✓ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია;
- ✓ კვლევის მეთოდები ეკონომიკაში.

საფუძველი: სასწავლო კურსის სილაბუსების განახლება/გადამუშავება

<u>ცვლილება: ახალი სასწავლო კურსების დამატების შესახებ</u>

- **ცვლილების აღწერა:** კონცენტრაციაში ,,ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია" დაემატა ახალი არჩევითი სასწავლო კურსი ,,ახალი პოლიტიკური ეკონომია".

საფუძველი: კონცენტრაციის გაფართოება არჩევითი კურსების შეთავაზებით.

<u>ცვლილება:</u> <u>სასწავლო კურსის სილაბუსების მოდიფიცირების შესახებ</u>

- **ცვლილების აღწერა:** საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის სასწავლო კურსებში **„საერთაშორისო ეკონომიკა** II" შუალედური და დასკვნითი გამოცდები კომპიუტერულ რესურს-ცენტრის ნაცვლად ჩატარდება საგამოცდო ცენტრში.

საფუძველი: სასწავლო კურსის სილაბუსებში საგამოცდო ფორმატის დაზუსტება

<u>ცვლილება: სასწავლო კურსის წინაპირობის ცვლილების შესახებ.</u>

ცვლილების აღწერა: კონცენტრაციაში „ბიზნესის ეკონომიკა" არჩევითი სასწავლო კურსს **„მიკროეკონომიკის თეორია და საჯარო პოლიტიკა"** მოეხსნას წინაპირობა და მე-3 სემესტრის ნაცვლად განესაზღვრა მე-2 სემესტრი.

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება, წინაპირობის დაზუსტება.

<u>ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსის ავტორის ცვლილების შესახებ.</u>

ცვლილების აღწერა: კონცენტრაციებში „საერთაშორისო ეკონომიკა" და „ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია" სასწავლო კურსს **„ტრანსფორმაციული კონომიკა"** განესაზღვრა ორი ავტორის ნაცვლად ერთი ავტორი (ლ. ბახტაძე)

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების ავტორის დაზუსტება

3. ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილება, დანართი 84)

ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსების მოდიფიცირების შესახებ

- **ცვლილების აღწერა:** განახლდა შინაარსი და ლიტერატურა სავალდებულო სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში"

საფუძველი: სასწავლო კურსის სილაბუსების განახლება/გადამუშავება

4. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმი" (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება №57/2011, დანართი 211)

ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსების მოდიფიცირების შესახებ

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსის სილაბუსში „კვლევითი პროექტი" მკვეთრად გაიმიჯნა შეფასების კომპონენტები შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის, კერძოდ, ნაშრომის შუალედური გამოცდის შეფასება - 60 ქულა, დასკვნით შეფასება - 40 ქულა; ნაშრომის დასკვნით შეფასებაზე დაშვებისთვის მინიმალური - 31 ქულა.

საფუძველი: სასწავლო კურსის სილაბუსების განახლება/გადამუშავება

ცვლილება: პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში ცვლილების შესახებ

ცვლილების აღწერა: პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნა ან ამ ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საფუძველი: პროგრამაზე დაშვების წინაპირობების დაზუსტება.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამებში - 1. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 77), 2. ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული, დანართი N80), 3. ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილება, დანართი 84), 4. ტურიზმის სამაგისტრო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება №57/2011, დანართი 211) - წარმოდგენილი ცვლილებები.

5. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) საბაკალავრო პროგრამა ეკონომიკაში (ინგლისურენოვანი პროგრამა) (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 274):

<u>**ცვლილება:** თავისუფალი კრედიტის სასწავლო კურსის „მანქანური სწავლება 2“ დამატება პროგრამაში</u>

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსის „მანქანური სწავლება 2“ დაემატოს პროგრამას თავისუფალი კურსის სტატუსით, სემესტრი 4

საფუძველი: პროგრამაში უკვე არსებული კურსი „მანქანური სწავლების შესავალი” მიმოიხილავდა მანქანური სწავლების საბაზისო საკითხებს. აღნიშნული თემის მიმართ მკვეთრად გაიზარდა სტუდენტთა ინტერესი, ასევე, კურსის შეფასების გამოკითხვისა და ანალიზის შედეგად გამოვლინდა მანქანური სწავლების სიღრმისეული შესწავლის სურვილი და საჭიროება დამსაქმებელთა ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად. ამ ყველაფერმა ერთად განაპირობა უკვე არსებული კურსის სახელწოდების ცვლილება. კერძოდ, სასწავლო კურსს „მანქანური სწავლების შესავალი” შეეცვალა სახელწოდება „მანქანური სწავლება 1“-ით (ეს ცვლილება დამტკიცდა 2024-25 სასწავლო წლის დაწყებამდე). ამჟამად ახალი სასწავლო კურსი „მანქანური სწავლება 2“ დაემატება გაზაფხულის სემესტრისთვის, რომელიც არის „მანქანური სწავლება 1“-ის გაგრძელება და შინაარსობრივ ბმაშია მანქანური სწავლების საკითხების სიღრმისეულ შესწავლასთან.

<u>**ცვლილება:** სასწავლო კურსის სტატუსის ცვლილების შესახებ</u>

ცვლილების აღწერა: პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსს **„საერთაშორისო ფინანსები“** შეეცვალა სტატუსი და გახდა არჩევითი სასწავლო კურსი სემესტრის ცვლილების გარეშე. სანაცვლოდ, სასწავლო კურსს **„ეკონომიკური ზრდა“** შეეცვალა სტატუსი და გახდა სავალდებულო სასწავლო კურსი.

საფუძველი: ISET-ის აკადემიური კომიტეტის ინიციატივით პროგრამის თანახელმძღვანელის სასწავლო პროგრამაზე მუშაობის პროცესში ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამოიკვეთა ზემოაღნიშნული სასწავლო კურსის სტატუსის მოდიფიცირება. პროგრამის სპეციფიკისა და მიზნებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩაითვალა კურსის პროგრამაში არჩევით კურსად ინტეგრირება: ის საკითხები რაც "საერთაშორისო ფინანსებში" განიხილებოდა, დიდწილად ისწავლება სავალდებულო სასწავლო კურსში „მაკროეკონომიკა 2“. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილების მიუხედავად, სტუდენტი ნებისმიერ შემთხვევაში გადის სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგებზე. ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებული არ იყო მიწოდებული სრულყოფილად სასწავლო პროგრამაში. შესაბამისად, აღნიშნული საკითხების შემსწავლელი სასწავლო კურსი "ეკონომიკური ზრდა", ISET-ის აკადემიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს კურიკულუმის სავალდებულო ნაწილში შემდეგი დათქმით: სტუდენტებს, ვისაც „საერთაშორისო ფინანსები“ უკვე გავლილი და ჩაბარებული აქვს, ჩაეთვალოთ სავალდებულო კურსად, ხოლო ვინც 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან გაივლის, მათთვის ეს კურსი იქნება ახალი სტატუსით (კერძოდ, არჩევითი).

6. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკაში (ინგლისურენოვანი პროგრამა) (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 82):

<u>ცვლილება: ახალი სასწავლო კურსის დამატების შესახებ</u>

- **ცვლილების აღწერა:** პროგრამას დაემატა სამი ახალი არჩევითი სასწავლო კურსი:
    - ✓ "ევროინტეგრაციის თეორიები";
    - ✓ „ევროკავშირის ინტეგრაციის ეკონომიკა";
    - ✓ „სოციალური პოლიტიკა ევროპაში".

საფუძველი: ISET-ის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს მიღებული აქვს FIBAA-ს საერთაშორისო აკრედიტაცია. სააკრედიტაციო კომიტეტის რეკომენდაცია იყო, საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმის გამდიდრება მულტიდისციპლინური არჩევითი კურსებით. რეკომენდაციის საფუძველზეც ISET-მა დაიწყო თანამშრომლობა თსუ საჯარო მმართველობის

სამაგისტრო ინგლისურენოვან შპაიერის პროგრამასთან, რაც გულისხმობდა ISET-ის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთათვის (4 სტუდენტი) შპაიერის პროგრამაზე რეგისტრაციასა და კურსის გავლას. 2021-2022 სასწავლო წლიდან დღემდე წარმატებით მიმდინარეობს თანამშრომლობა შპაიერის პროგრამასთან და ამ გამოცდილების საფუძველზე თანამშრომლობა დაგეგმილია თსუ ევროპათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამასთანაც. მათი პროგრამის ფარგლებში არსებული 3 სასწავლო კურსი: (1. "ევროინტეგრაციის თეორიები ", 2. „ევროკავშირის ინტეგრაციის ეკონომიკა " და 3. „სოციალური პოლიტიკა ევროპაში") შეთავაზებული იქნება "ეკონომიკის" ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვისაც, ხოლო სტუდენტთა კვოტა განისაზღვრება არაუმეტეს 5 სტუდენტამდე. გარდა იმისა, რომ აღნიშნული პარტნიორობა თსუ-ს ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებთან გაამდიდრებს მულტიდისციპლინური არჩევითი კურსებით სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმს, ასევე საშუალებას მისცემს დაინტერესებულ სტუდენტს ცოდნა მიიღოს სხვადასხვა მიმართულებით მულტიდისციპლინური კუთხით, ამ ჯერზე კი ევროპათმცოდნეობის საკითხებში.

7. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სამაგისტრო პროგრამა „ფინანსები" (ინგლისურენოვანი პროგრამა) (აკადემიური საბჭოს #106/2021; 29/11/2021 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 306):

<u>**ცვლილება:** სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის ცვლილების შესახებ</u>

ცვლილების აღწერა: სავალდებულო სასწავლო კურსის -„შემაჯამებელი პროექტი" („Capstone Project") კრედიტების რაოდენობა გაიზარდა 4-დან 5-მდე; ხოლო, სავალდებულო სასწავლო კურსის - „პროფესიული კომუნიკაციის უნარები ბიზნესსა და ფინანსებში" („Professional Communication Skills in Business and Finance") კრედიტების რაოდენობა შემცირდა 4-დან 3-მდე.

საფუძველი: აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული რეკომენდაციები, რომლის საფუძველზეც პროგრამაში დაიგეგმა ექსპერტთა რეკომენდაციის სისრულეში მოყვანა. კერძოდ, რეკომენდებული იყო "ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად, გაიზარდოს შემაჯამებელი პროექტის (Capstone Project) კრედიტების რაოდენობა მინიმუმ 5 ECTS კრედიტამდე, რაც თავის მხრივ გაზრდის ორგანიზაციებში სტუდენტების დატვირთვას და უკეთ შეუწყობს ხელს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას".

იმისათვის, რომ ორწლიანი სამაგისტრო პროგრამის ჯამური კრედიტების რაოდენობა დარჩენილიყო 120, ISET-ის აკადემიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, 1 კრედიტით შემცირდა

სავალდებულო კურსის „პროფესიული კომუნიკაციის უნარები ბიზნესსა და ფინანსებში“ დატვირთვა. ხოლო, შესაბამისად, სასწავლო კურსების განახლებული სილაბუსები ასახავს ზემოაღნიშნულ ცვლილებებს.

<u>**ცვლილება:** პროგრამაში პერსონალის მოწვეულის ჩანაცვლების შესახებ</u>

ცვლილების აღწერა: მომდევნო სემესტრიდან სასწავლო კურსების „პროფესიული კომუნიკაციის უნარები ბიზნესსა და ფინანსებში“ და „რისკების მართვა“ ლექტორებად მოწვეული იქნებიან ქ-ნი თამარ კარბაია (მენეჯმენტის დოქტორის აკადემიური ხარისხი, კავკასიის უნივერსიტეტი) და ბ-ნი გიორგი მიხელიძე (ეკონომიკის მაგისტრი, დიპლომირებული ფინანსური ანალიტიკოსი (CFA charter-holder) ვარვიკის უნივერსიტეტი).

საფუძველი: არსებული (ძველი) ლექტორების დატვირთული სამუშაო/პედაგოგიური გრაფიკი.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს **ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამაში** წარმოდგენილი ცვლილებები.

მოისმინეს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ასოცირებული პროფესორის მ. ჩავლეიშვილის ინფორმაცია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2024 წლის გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ. ანგარიშში აღწერილი იყო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გაწეული მუშაობა შემდეგი მიმართულებით: საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხელშეწყობა; ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა; ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების ანალიზისა და შეფასების შედეგები ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

აზრი გამოთქვეს: აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ, პროფ. თ., შენგელიამ

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში წარმოდგენილი ფორმით.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის მანანა ლობჟანიძის წარდგინება დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

1. **ბექა ბაიაშვილი - „ცირკულარული ეკონომიკის ბიზნესმოდელების დანერგვის გამოწვევები და დაძლევის გზები საქართველოში“**

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე**

2. **გიორგი მიქანაძე - „ინოვაციური ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში“**

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: **პროფესორი რევაზ გველესიანი**

3. **ლევან იობაშვილი - „შრომის ბაზრის ინსტიტუციური სისუსტეები და მისი დაძლევის გზები ციფრულ ეკონომიკაში“**

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი**

4. **მარიამ მაღრაძე - „აზიასა და ევროპას შორის არსებული შუა დერეფნის ფუნქციონირების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში“**

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი**

5. **ლუკა გაზდელიანი - „ციფრული განათლების ფორმირებისა და განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში“**

   მეცნიერ-ხელმძღვანელები: **ასოცირებული პროფესორი თეა მუნჯიშვილი**

   ასოცირებული პროფესორი გიორგი გაფრინდაშვილი

6. **რეზო ფხალაძე - „სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის გავლენა ადგილობრივი თვითმმართველობების ეფექტიან ფუნქციონირებაზე“**

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გიორგი გაფრინდაშვილი

7. ზურა გამთენაძე - „ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკური ინტერესების განხორციელების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში“

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი

8. ლანა მებონია - „ტექნოლოგიური ინოვაციები და შიდა აუდიტის ხარისხისა და ეფექტიანობის გაუმჯობესების მიმართულებები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში“

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნანა სრესელი

9. შოთა ჭანტურიძე - „მცირე ბიზნესის საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის სტრატეგიების ფორმირება"

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი თემურ შენგელია

10. ოთარ ანგურიძე - „კაპიტალის შემოდინების გავლენა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნების ფინანსურ სტაბილურობაზე"

    მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე

აზრი გამოთქვეს: აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ, პროფ. გ. ღაღანიძემ

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტების სადისერტაციო თემები და მეცნიერ ხელმძღვანელები წარმოდგენილი სახით. დოქტორანტ ***ოთარ ანგურიძის*** საბჭოზე არყოფნის გამო საკითხი გადაიდო.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის მანანა ლობჟანიძის წარდგინება დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ

1. დოქტორანტ **სერგო გელაშვილს** შეეცვალოს სადისერტაციო თემა: **„აგრარული სექტორის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში“** ნაცვლად,

დაუმტკიცდეს: „აგრარული სექტორის ტექნოლოგიური განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში“ და ასისტენტ პროფესორის ლალი ხურციას ნაცვლად დაუმტკიცდეს ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი;

2. დოქტორანტ ირაკლი გაზდელიანის მეცნიერ-ხელმძღვანელის ცვლილება: ასისტენტ პროფესორ ლალი ხურციას ნაცვლად მეცნიერ- ხელმძრვანელებად დაუმტკიცდეს: ასოცირებული პროფესორი გიორგი გაფრინდაშვილი და ასოცირებული პროფესორი თეა მუნჯიშვილი

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტების სადისერტაციო თემებისა და მეცნიერ ხელმძღვანელების წარმოდგენილი ცვლილება.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის მანანა ლობჟანიძის ინფორმაცია ***ბიზნესის ადმინისტრირების*** სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ***ავთანდილ ლილუაშვილის*** სადისერტაციო ნაშრომის - ***"საპენსიო ფონდების განვითარება საქართველოში: პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზები"*** (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ***ასისტენტ- პროფესორი თამარ კბილაძე),*** შემფასებლების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.

შემფასებლები: *1.* პროფესორი არჩილ ცერცვაძე *(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)*

2. ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. პროფესორი თეიმურაზ ბერიძე
2. პროფესორი რევაზ გველესიანი
3. პროფესორი სიმონ გელაშვილი
4. პროფესორი ნუგზარ თოდუა

5. პროფესორი ირაკლი კოვზანაძე

6. პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი

7. პროფესორი დავით ნარმანია

8. პროფესორი ლევან საბაური

9. პროფესორი თამარ გამსახურდია *(გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი)*

10. ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე

11. ასოცირებული პროფესორი ნატო კაკაშვილი

12. ასოცირებული პროფესორი თეა კასრაძე

13. ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე

14. ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური

15. ასისტენტ - პროფესორი ნათია კახნიაშვილი

დაადგინეს: დამტკიცდეს *ბიზნესის ადმინისტრირების* სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ *ავთანდილ ლილუაშვილის* სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლები და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის მანანა ლობჟანიძის ინფორმაცია *ბიზნესის ადმინისტრირების* სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ *ოთარ სოსელიას* სადისერტაციო ნაშრომის - *„შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებები საქართველოს სამშენებლო სექტორში“(* მეცნიერ-ხელმძღვანელი: *ასოცირებული პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე),* შემფასებლად *ეკონომიკის დოქტორის ნაირა ღვედაშვილის* დამტკიცების შესახებ.

დაადგინეს: დამტკიცდეს *ბიზნესის ადმინისტრირების* სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ *ოთარ სოსელიას* სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლად *ეკონომიკის დოქტორი ნაირა ღვედაშვილი.*

მოისმინეს: მენეჯერის საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში აკაკი მიქაბერიძის ინფორმაცია, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2014 წლის 19 დეკემბრის სხდომის

ოქმი №15 დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის საუნივერსიტეტო დაფინანსების გაცემის წესში“, ცვლილებების შეტანის შესახებ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2014 წლის 19 დეკემბრის სხდომის ოქმი №15 დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის საუნივერსიტეტო დაფინანსების გაცემის წესში“ ცვლილებების შეტანის შესახებ (ცვლილებები და დამატებები შეტანილია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 09 ივლისის სხდომის ოქმი N10).

1. **პირველი მუხლის მე-3.1 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

   „3.1 ბაკალავრიატის საფეხური – საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის 50%, რომელიც თავის მხრივ ნაწილდება ფაკულტეტზე მოქმედ საბაკალავრო პროგრამებზე აქტიურ სტუდენტთა რიცხოვნობის გათვალისწინებით.“

2. **პირველი მუხლის მე-3.2 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

   „3.2 მაგისტრატურის საფეხური – საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის 50%, რომელიც თავის მხრივ ნაწილდება ფაკულტეტზე მოქმედ საბაკალავრო პროგრამებზე (გარდა „ეკონომიკის“ და „ფინანსების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამებისა) აქტიურ სტუდენტთა რიცხოვნობის გათვალისწინებით.“

3. **პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

   „5. ფაკულტეტზე შექმნილი კომისია ადგენს საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე კანდიდატთა სიას, რომელიც ფაკულტეტის მიერ წარედგინება სასწავლო პროცესის მართვისა და საფინანსო დეპარტამენტებს შესაბამისი სემესტრის საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე.“

4. **პირველი მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

   „6. სასწავლო პროცესის მართვის და საფინანსო დეპარტამენტები ადგენენ ფაკულტეტების მიერ წარდგენილი საუნივერსიტეტო დაფინანსების კანდიდატთა სიების შესაბამისობას თსუ რექტორის 2018 წლის 02 თებერვლის N28/01-01 ბრძანების მე-8 პუნქტით

განსაზღვრულ კრიტერიუმებთან. საფინანსო დეპარტამენტი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების საუნივერსიტეტო დაფინანსების თაობაზე ბრძანების პროექტს ფაკულტეტების შესაბამისად."

5. **პირველი მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„7. საუნივერსიტეტო დაფინანსებაზე მყოფ სტუდენტთა ერთიანი სია ფაკულტეტების შესაბამისად მტკიცდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით."

6. **მეორე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტი სწავლების პირველ სემესტრში საუნივერსიტეტო სემესტრულ დაფინანსებას მოიპოვებს მაგისტრატურაში შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული მისაღები სპეციალობის გამოცდის/გამოცდების/გასაუბრების შედეგების საფუძველზე, ხოლო სწავლების მეორე სემესტრიდან მის მიერ უნივერსიტეტში წინა სემესტრში მიღებული აკადემიური შედეგების გათვალისწინებით.

7. **მეორე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. სტუდენტის აკადემიური შედეგების შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, ქულათა რანჟირების გზით უმაღლესიდან უდაბლესისკენ. აკადემიური შედეგების შეფასება ხდება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში წინა კალენდარულ სემესტრში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულის გამოანგარიშებით.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის საუნივერსიტეტო დაფინანსების გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი") ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის (შემდგომში „ფაკულტეტი") სტუდენტების საუნივერსიტეტო დაფინანსება ითვალისწინებს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების დაფინანსებას შერჩევის საფუძველზე, აკადემიური შედეგების გათვალისწინებით. (09.07.2018; N10)
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის საუნივერსიტეტო დაფინანსების ოდენობა დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
3. განსაზღვრული თანხა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებზე ნაწილდება შემდეგი სახით:

3.1. ბაკალავრიატის საფეხური – საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის 50%, რომელიც თავის მხრივ ნაწილდება ფაკულტეტზე მოქმედ საბაკალავრო პროგრამებზე აქტიურ სტუდენტთა რიცხოვნობის გათვალისწინებით:

ა) ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;

ბ) ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა;

გ) ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა;

დ) ეკონომიკა (ინგლისურენოვანი პროგრამა). (09.07.2018; N10)

3.2. მაგისტრატურის საფეხური – საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის 50%, რომელიც თავის მხრივ ნაწილდება შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე აქტიურ სტუდენტთა რიცხოვნობის გათვალისწინებით:

ა) ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ;

ბ) ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა;

გ) ტურიზმის სამაგისტრო პროგრამა;

დ) (ამოღებულია - 09.07.2018; N10)

4. საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე კანდიდატთა შერჩევას წინამდებარე წესის შესაბამისად ახორციელებს კომისია შემდეგი შემადგენლობით: სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში და ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) აკადემიური პროგრამების კოორდინატორი. (09.07.2018; N10)

5. ფაკულტეტზე შექმნილი კომისია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვისა და საფინანსო დეპარტამენტებს შესაბამისი სემესტრის საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე წარუდგენს საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე კანდიდატთა სიას. (09.07.2018; N10)

6. კანდიდატთა შესარჩევი კომისია განიხილავს ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილ საუნივერისტეტო დაფინანსების კანდიდატთა სიას და უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს საუნივერსიტეტო დაფინანსების ერთიან სიას.

7. საუნივერსიტეტო დაფინანსებაზე მყოფ სტუდენტთა ერთიანი სია მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

მუხლი 2. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტის მიერ საუნივერსიტეტო დაფინანსების მოპოვების წესი

1. ბაკალავრიატის სტუდენტი უნივერსიტეტო დაფინანსების მოპოვების კანდიდატი ხდება უნივერსიტეტში სწავლების მეორე სემესტრიდან.

2. ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი საუნივერსიტეტო სემესტრულ დაფინანსებას მოიპოვებს მის მიერ უნივერსიტეტში წინა სემესტრში მიღებული აკადემიური შედეგების გათვალისწინებით.
3. ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტი სწავლების პირველ სემესტრში საუნივერსიტეტო სემესტრულ დაფინანსებას მოიპოვებს მაგისტრატურაში მისაღები შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული საფაკულტეტო გამოცდის/გამოცდების შედეგების საფუძველზე (რანჟირებული ქულა), ხოლო სწავლების მეორე სემესტრიდან მის მიერ უნივერსიტეტში წინა სემესტრში მიღებული აკადემიური შედეგების გათვალისწინებით.
4. სტუდენტის აკადემიური შედეგების შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, მის მიერ წინა სემესტრში უნივერსიტეტში განვლილი პროგრამით გათვალისწინებულ საგნებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშების გზით.
5. სტუდენტთა აკადემიური შედეგების გათვალისწინებით შედგება რეიტინგი საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე კანდიდატთა გამოსავლენად. საუნივერსიტეტო დაფინანსების ოდენობის შესაბამისად სრულად დაფინანსდებიან ის სტუდენტები, რომელთა აკადემიური მოსწრება ყველაზე მაღალია.
6. იმ შემთხვევაში თუ საუნივერსიტეტო დაფინანსების მიმღებთა რეიტინგში არის რამდენიმე ერთნაირი ყველაზე დაბალი ქულის მქონე სტუდენტი, რომელთათვის სწავლის დასაფინანსებლად არსებული თანხა საკმარისი არ არის დარჩენილი თანხა თანაბრად იყოფა სტუდენტების შესაბამის რაოდენობაზე.
7. საუნივერსიტეტო დაფინანსება არ გაიცემა (09.07.2018; N10):

ა) სტუდენტებზე, რომლებსაც მოპოვებული აქვთ სახელმწიფო/ალტერნატიული დაფინანსების სრული ოდენობა. ნაწილობრივი ოდენობის შემთხვევაში საუნივერსიტეტო დაფინანსება გაიცემა მის პროპორციულად, სწავლის საფასურის სრულად შესავსებად.

ბ) სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და გათვალისწინებულნი არიან დაფინანსებაში.

გ) ბაკალავრიატის პირველი სემესტრის სტუდენტებზე.

დ) დამატებითი სემესტრის სტუდენტებზე.

ე) სტუდენტებზე, რომლებსაც სრულად არ აქვთ დაფარული წინა სემესტრის სწავლის საფასური.

ვ) წინა კალენდარულ სემესტრში სტატუსშეჩერებულ სტუდენტებზე.

ზ) სტუდენტებზე, რომლებსაც საუნივერსიტეტო დაფინანსების გაცემის მომენტისათვის არ აქვთ აქტიური სტუდენტის სტატუსი.

თ) სტუდენტებზე, რომელთა მიერ წინა სემესტრში დაგროვილი კრედიტების რაოდენობა ნაკლებია 30-ზე.

მუხლი 3. საუნივერსიტეტო დაფინანსების გაცემის წესში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა

1. საუნივერსიტეტო დაფინანსების წესს შეიმუშავებს და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
2. საუნივერსიტეტო დაფინანსების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით. (09.07.2018; N10)

მუხლი 4. საუნივერსიტეტო დაფინანსების წესის ამოქმედება

საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი ამოქმედდეს ფაკულტეტის საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

აზრი გამოთქვეს: აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ, პროფესორმა თ. შენგელიამ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2014 წლის 19 დეკემბრის სხდომის ოქმი №15 დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის საუნივერსიტეტო დაფინანსების გაცემის წესში“ ცვლილებება დანართში წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: მენეჯერის საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში აკაკი მიქაბერიძის ინფორმაცია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის განხილვა-დამტკიცების შესახებ.

მენეჯერმა **საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში აკაკი მიქაბერიძემ** საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის პარამეტრები და ისაუბრა იმ გარემოებების შესახებ, რამაც განაპირობა მათი ცვლილება 2024 წლის მაჩვენებლებთან შედარებით. საბჭოს წევრებს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი წინასწარ დაეგზავნათ გასაცნობად.

აზრი გამოთქვეს: აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ, პროფესორმა თ. შენგელიამ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი დანართში წარმოდგენილი სახით.

მიმდინარე საკითხები

1. ფაკულტეტის იურისტმა, დავით მახვილაძემ წარმოადგინა დასკვნა ასოცირებული პროფესორის ნატალია ხარაძის და მისი დოქტორანტის ეკა მაღლაფერიძის სტატიასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუშაობდა კომისია, რომელმაც შეიმუშავა დასკვნა. დასკვნა გაეგზავნება თსუ ადმინისტრაციას რეაგირებისათვის.
   დასკვნა გაზიარებულ იქნა ფაკულტეტის საბჭოს მიერ. აღნიშნული საკითხის განხილვისას სხდომა იყო დახურული და აქედან გამომდინარე კომისიის დასკვნა არ გამოქვეყნდება.
2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, **პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ** აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე შემუშავებული იყო 2018-2024 წლების განვითარების სტრატეგია და განისაზღვრა 2025-2030 წლების სტრატეგია. ფაკულტეტის სტრატეგია შეესაბამება თსუ განვითარების სტრატეგიით განსაზღვრულ პრიორიტეტებს. სტრატეგიის შემდეგ მტკიცდება სამოქმედო გეგმა. დავამტკიცოთ სტრატეგია, რომელიც დაეგზავნა საბჭოს ყველა წევრს და შემდეგ ყოველწლიურად დამტკიცდეს სამოქმედო გეგმა (მაგ. ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამების ზრდა და ა.შ.). დინამიურ გარემოში ცვლილებები შეიძლება ძალიან სწრაფად მოხდეს.

3. პროფესორმა თეიმურაზ შენგელიამ გამოთქვა მოსაზრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ასოცირებული პროფესორის მარინა ჩავლეიშვილის წარმატებულ საქმიანობასთან დაკავშირებით და დააყენა საკითხი მისი მატერიალური წახალისების შესახებ. ასევე აღინიშნა მენეჯერის საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში აკაკი მიქაბერიძის წარმატებული საქმიანობა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი — გ. ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი — გ. ერქომაიშვილი